ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/23

შეკითხვა:

ადვოკატი არასრულწლოვნების ინტერესებს იცავს დავაში, სადაც შვილები, დედას მშობლის უფლების ჩამორთმევაზე ედავებიან, ამავდროულად დედა სასმართლო წესით დაობს ბავშვების საცხოვრებლი ადგილის განსაზღვრაზე, სადაც ბავშვების ინტერესს კვლავ აღნიშნული ადვოკატი წარმოადგენს. ორივე საქმეზე დავის მიმდინარეობისას ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა, პირველ სასამართლო წარმოებაში, სადაც ბავშვები არიან მოსარჩელეები, შეიტანა განცხადება და გამოთქვა დედასთან საცხოვრებლად დაბრუნების სურვილი. ადვოკატს, მოპასუხე მხარის პოზიციიდან, ბავშვების სახელით, განსახორციელებელი აქვს საპროცესო მოქმედებები მეორე სასამართლო წარმოებაში. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, რომ არ დაარღვიოს ბავშვების ინტერესები და არ შეექმნას ინტერესთა კონფლიქტი?

ანალიზი:

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2.„ა“).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის

დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.6).

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტისათვის კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა ვერ მიიღწევა მაშინ, როდესაც ადვოკატს, ორი ან მეტი კლიენტის დაცვისას, იმავვე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეზე, კლიენტთა ურთიერთგამომრიცხავი მიზნებით, წამოეშვება ინტერესთა კონფლიქტი. კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატს ჰყავს ორი არასრულწლოვანი კლიენტი, რომელთა ინტერესებიც თავდაპირველად ერთმანეთს ემთხვეოდა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი არასრულწლოვნის განცხადებას სასამართლო პირველ სასამართლო დავში მიიჩნევს მის საუკეთესო ინტერესად და შვილის საცხოვრებელ ადგილად, დედის ადგილსამყოფელს განსაზღვრავს, დედმამიშვილების ინტერესები დაუპირისპირდება ერთმანეთს. ადვოკატი ვეღარ გააგრძელებს ორივე კლიენტის დაცვას, რადგან ერთი და იმავე სასამართლო წარმოებისას მოუწევს ერთ შემთხვევაში დაეთანხმოს დედის მიერ წარმოდგენილ სარჩელს, სადაც ის ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას მის სასარგებლოდ ითხოვს, ხოლო მეორე შემთხვევაში წარმოადგინოს შესაგებელი. ამ ფონზე ვერ მიიღწევა ორივე კლიენტის თანაბარი დაცვა და მან უნდა შეწყვიტოს თითოეული კლიენტის საქმის წარმოება.

დასკვნა:

კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოების თანახმად, ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს ორივე არასრულწლოვანის წარმომადგენლობა, რადგან მათი ინტერესები ერთიდაიგივე საქმეში ერთმანეთს უპირისპირდება, რითიც ადვოკატს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.